მიტროპოლიტი
იოანე (ზიზიულასი)

# მართლმადიდებლური თეოლოგია და თანამედროვე ანთროპოლოგია

მიტროპოლიტი
იოანე (ზიზიულასი)

# მართლმადიდებლური თეოლოგია და თანამედროვე ანთროპოლოგია

*ინგლისურიდან თარგმნა*
***გიორგი ხუროშვილმა***

**Metropolitan Ioannis (Zizioulas)**

# ORTHODOX THEOLOGY AND MODERN ANTHROPOLOGY

*Translated into Georgian by*
***Giorgi Khuroshvili***

თბილისი **2020 Tbilisi**

**ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ**
**კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის**
**სამეცნიერო-კვლევითი არქივი**

**NEW GEORGIAN UNIVERSITY**
**Archive of Caucasian Philosophy and Theology**

**სამეცნიერო რედაქტორები**: ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი
**გრიგოლი (ბერბიჭაშვილი),** პროფესორი, დოქტორი
პროფესორი, დოქტორი **თენგიზ ირემაძე**

**Editors:** Prof. Dr. Metropolitan of Poti and Knobi **Grigoli (Berbichashvili)**
Prof. Dr. **Tengiz Iremadze**

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: **გიორგი ბაგრატიონი**
Cover design and Book layout: **Giorgi Bagrationi**

პირველი გამოცემა, 2020
First Edition, 2020

© კავკასიური ფილოსოფიისა და თეოლოგიის
სამეცნიერო-კვლევითი არქივი, 2020
© Archive of Caucasian Philosophy and Theology, 2020

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილში“, 2020

ISBN 978-9941-8-1487-7

# სარჩევი

წინათქმა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 5

შესავალი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 7

ადამიანის არსის განმარტება
პატრისტიკულ აზროვნებაში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 13

ადამიანის არსის განსაზღვრება
თანამედროვე სამყაროში . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 27

მართლმადიდებლური თეოლოგიის ამოცანა . . . . . . . . . 40

დასკვნა . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 45

სახელთა საძიებელი . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 47

ავტორის შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . . 48

# წინათქმა

მადლიერებით დავიწყებ. ულრმეს მადლობას მოგახსენებთ იმ დიდი პატივისათვის, რომელიც ახალი საქართველოს უნივერსიტეტისგან მერგო. მართლაც დიდი პრივილეგიაა, საპატიო დოქტორის წოდება მიილო ამ მართლმადიდებლური საგანმანათლებლო ინსტიტუციისგან, რომლის გამორჩეულ აკადემიზმს მე დიდად ვაფასებ. უწინარეს ყოვლისა, მადლობელი ვარ მისი უწმინდესობისა და უნეტარესობის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია მეორის, რომელმაც მომცა კურთხევა მიმელო ეს საპატიო წოდება, მადლიერებას გამოვხატავ ამ უნივერსიტეტის რექტორის, ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის, მალალყოვლადუსამლვდელოესი გრიგოლისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიმართ, რომელთა გადაწყვეტილებითაც მომენიჭა ეს საპატიო ხარისხი.

როგორც მსოფლიო საპატრიარქოს მიტროპოლიტი, მე მუდამ ვგრძნობ იმ სიღრმისეულ ბმას, რომელიც ჩემს

ეკლესიას საქართველოს უძველეს ეკლესიასთან აქვს. ამ კავშირს, ძველთაძველი ტრადიციის თანახმად, საუკუნეთა სიღრმეში, სათავე დაუდო ანდრია მოციქულმა, რომელმაც ჩვენი ეკლესიები ღვთის სიტყვას აზიარა. რამდენადაც მთელი ცხოვრება თეოლოგიის შესწავლასა და კვლევაში განვვლე, ამ საზეიმო დღეს მსურს გავიხსენო ის დიდი წვლილი, რომელიც ისტორიულად, საუკუნეთა განმავლობაში, საქართველოს შეჰქონდა და შეაქვს მსოფლიო თეოლოგიის, ფილოსოფიისა და კულტურის განვითარების საქმეში. ჩვენთვის, ჩვენი ეკლესიების მდიდარი საღვთისმეტყველო და კულტურული ტრადიციების მემკვიდრეებისთვის, მთავარი მოწოდებაა შემოქმედებითად შევინარჩუნოთ ამ ტრადიციის სიცოცხლისუნარიანობა, უბრალოდ კი არ გავიმეოროთ, არამედ გავიაზროთ ის ჩვენი თანამედროვე კულტურის გამოწვევების შუქზე. ეს გახლავთ თანამედროვეობაში მართლმადიდებლური თეოლოგიის ამოცანა, სწორედ ამ ამოცანის კონტექსტში გაგიზიარებთ ზოგიერთ მოსაზრებას.

*პერგამონის მიტროპოლიტი იოანე (ზიზიულასი)*
**ქ. ფოთი, 2019 წლის ნოემბერი**